# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №532

**2025 წლის 5 დეკემბერი**

**ქ. თბილისი**

**„შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე გაწვევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 19 დეკემბრის №427 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე გაწვევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 19 დეკემბრის №427 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/12/2024, 120000000.10.003.024822) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შემთხვევითი შერჩევა ხორციელდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ყოველი კალენდარული წლის დეკემბრის თვეში. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული პირები გაიწვევიან მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 10 დეკემბრიდან.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი კობახიძე**